თამარ ისაკაძე - ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პროცესი საკლასო ოთახში - ველის დინამიკა

ინკლუზიური განათლება წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ და ჰოლისტურ მიდგომას. საქართველოში ინკლუზიურმა განათლებამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა პერიოდის შემდეგ, რაც ასახავს გადასვლას უფრო პროგრესული, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრაქტიკისკენ.

ნაშრომში წარმოდგენილია ისეთ საკლასო დინამიკაზე მსჯელობა, რომელიც ეხმიანება ველის თეორიას; განხილულია გამოწვევები და შედეგები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით ფოკუსირებულია სეგრეგაციის პოტენციურ რისკებსა და ერთიანი საკლასო ველის განვითარების აუცილებლობაზე.

ველის თეორია, რომელიც თავდაპირველად შეიმუშავა კურტ ლევინმა, იძლევა ჩარჩოს ჯგუფში დინამიკის გასაგებად. ამ თეორიის მიხედვით, ქცევა არის ადამიანისა და გარემოს ფუნქცია, რომელიც ერთად ქმნის ფსიქოლოგიურ ველს. კლასის კონტექსტში, ველი მოიცავს ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მათ ურთიერთქმედებას. ველის თეორია ეყრდნობა ჰოლისტურ მიდგომას, განიხილავს პიროვნებას და გარემოს, როგორც მთლიან სისტემას და არა იზოლირებულ ნაწილებს. ეს პერსპექტივა გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი ერთობლივად ქცევაზე, განიხილავს პიროვნებასა და გარემოს, როგორც მთლიან სისტემას.

ჰოლისტური მიდგომა აუცილებელია ინკლუზიური განათლების წარმატებისთვის, რაც გულისხმობს ერთიანი საკლასო ველის შექმნას, სადაც ყველა მონაწილე ჰარმონიულად ურთიერთობს. თუ საკლასო ველი ფრაგმენტულია, ეს იწვევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სეგრეგაციას და მარგინალიზაციას. როგორც ნებისმიერი გარემო, ისე საკლასო ოთახი წარმოადგენს დინამიურ ველს, სადაც მრავალი ძალა ურთიერთქმედებს. როდესაც სსსმ მოსწავლე შემოდის ამ ველში, მას მოაქვს უნიკალურობა, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ დინამიკაზე და თავადაც განიცდის არსებული დინამიკის ზემოქმედებას.

საკლასო ველი დინამიური გარემოა, სადაც მოსწავლეთა ქცევა და სწავლის შედეგები განისაზღვრება როგორც პიროვნული, ასევე გარე ფაქტორებით. ერთიანი საკლასო ველის შექმნა, რომელიც ეფუძნება ველის თეორიის პრინციპებს, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლეების, სრულფასოვან ინტეგრაციასა და თანაბარ მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. საერთო საკლასო ველი გადამწყვეტია ინკლუზიური განათლების წარმატებისთვის.
2. უწყვეტი პროფესიული განვითარება აუცილებელია მასწავლებლებისთვის, რათა ეფექტურად მართონ კლასი.
3. საჭიროა მეტი კვლევა იმ კონკრეტული სტრატეგიების შესასწავლად, რომლებიც დამხმარე იქნება საკლასო ველის გაერთიანებაში და სეგრეგაციის თავიდან აცილებაში.
4. პრიორიტეტული უნდა სხვადასხვა ფაქტორებს შორის დინამიური ურთიერთქმედების აღიარება.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, ველის თეორია, ველის დინამიკა, სასწავლო გარემო, ემოციური კეთილდღეობა.

Tamar Isakadze - Psychologist, Consultant of the Inclusive Education Promotion Program, National Center for Teacher Professional Development

Inclusive Education Support Process in the Classroom - Field Dynamics

Inclusive education is one of the most significant challenges of the modern educational system, requiring a complex and holistic approach. In Georgia, inclusive education has undergone significant transformation since the Soviet period, reflecting a shift towards more progressive, human rights-oriented educational practices.

The paper presents a discussion on classroom dynamics that respond to field theory; it examines the challenges and outcomes for teachers and students, particularly focusing on the potential risks of segregation and the necessity for the development of a unified classroom field.

Field theory, initially developed by Kurt Lewin, provides a framework for understanding group dynamics. According to this theory, behavior is a function of the person and the environment, together creating a psychological field. In the classroom context, the field includes all students, the teacher, and their interactions. This perspective helps us understand how different factors collectively influence behavior, considering the person and the environment as a whole system.

A holistic approach is essential for the success of inclusive education, which involves creating a unified classroom field where all participants interact harmoniously. If the classroom field is fragmented, it leads to the segregation and marginalization of students with special educational needs. Like any environment, the classroom represents a dynamic field where multiple forces interact. When a students with special needs enter this field, they bring uniqueness that influences the existing dynamics and are themselves affected by the existing dynamics.

The classroom field is a dynamic environment where student behavior and learning outcomes are determined by both personal and external factors. Creating a unified classroom field based on the principles of field theory ensures the full integration and equal participation of all students, including those with special educational needs, in the learning process.

Conclusions and Recommendations:
1. A unified classroom field is crucial for the success of inclusive education.
2. Continuous professional development is necessary for teachers to manage the class effectively.
3. More research is needed to study specific strategies that will aid in unifying the classroom field and preventing segregation.
4. Prioritizing the recognition of dynamic interactions between various factors is essential.

Keywords: Inclusive Education, Field Theory, Field Dynamics, Learning Environment, Emotional Well-being